აჭარის მუზეუმი - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველო – უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა)

უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები
(ბათუმი, 25-28 ივნისი, 2018)

Ancient Metallogenic Centre of Georgia (Ajara).
New Discoveries, Contacts with Eastern Civilizations,
Innovations, Perspectives

Proceedings of the International Conference
(Batumi, June 25-28, 2018)

რედაქტორები: ამირან კახიძე, ირინე ტატიშვილი
Editors: Amiran Kakhidze, Irene tatišvili

Copyright
ISBN

თბილისი
Tbilisi
2019

სარჩევი
Table of Contents

ამირან კახიძე
უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში 5
Amiran Kakhidze
Recently Discovered Centres of Ancient Metallurgy in Ajara 17

ამირან კახიძე, ნარგიზ სურმანიძე
მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა 44
Amiran Kakhidze, Nargiz Surmanidze
Proto-Hittite Pottery from the Makhvilauri Tell 50

მალხაზ ნაგერვაძე
ჭარნალის მურვანეთის მეტალურგიის უძველესი კერების საველე-არქეოლოგიური კლევა-ძიების შედეგები 56
Malkhaz Nagervadze
Archaeological Field Survey Finds from Early Metallurgical Centres in Murvaneti . 61

სინან კილიჯი
ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის რეგიონალურ მუზეუმებში დაცული კოლხური ცულები .. 66
Sinan Kılıç
Colchian Axes from the Regional Museums in North-East Turkey 76

გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე
ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები (შენადუღი რკინიდან ბულატის ფოლადამდე) 90
Givi Inanishvili, Nodar Poporadze
Archaeological and Technological Aspects of Early Ferrous Metallurgy in Transcaucasus (From Wrought Iron to Damascus Steel) 110

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი
სამხრეთ კავკასია და ხურიტული სამეფოები (ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ძვ.წ. XV-XIII სს.) 112
Goderdzi Narimanishvili, Nino Shanshashvili
The South Caucasus and Hurrian Kingdoms (Some Aspects of the Relations, 15th-13th Centuries BC) 122

ნინო სამსონია, ვახტანგ ლიჩელი
ძვ. წ. II ათასწლეულის ალალახის გლიპტიკის სამხრეთ მესოპოტამიური და სამხრეთ კავკასიური ტენდენციები 124
Nino Samsonia, Vakhtang Licheli
Southern Mesopotamian and South Caucasian Trends in Alalakh Glyptic of the 2nd Millennium BC 136

ირინე ტატიშვილი
ლითონი ხათურ ლექსიკაში 139
Irene Tatišvili
Metals in Hattian Vocabulary 148

ლევან კოჭლამაზაშვილი
ხათურ-ქართველური ლექსიკის შედარებითი შესწავლის ასპექტები 149
Levan Kochlamazashvili
Some Aspects of the Comparative Study of Hattian and Georgian Vocabulary 153

ახმეტ იუნალი
არქეოლოგია, ფილოლოგია და ეთნოსი აღმოსავლეთ ანატოლიასა და ამიერკავკასიაში: მოკლე ისტორიული და დიაქრონული სინოფსისი 154
Ahmet Ünal
Archaeology, Philology and Ethnicity in Eastern Anatolia and Transcaucasus: A Brief Historical and Diachronic Synopsis 156

ლევან გორდეზიანი
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით) 176
Levan Gordeziani
On the Ethnic Picture of South-West Georgia in Cuneiform Texts 183

გოდერძი ნარიმანიშვილი
ნინო შანშაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამხრეთ კავკასია და ხურიტული სამეფოები (ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ძვ.წ. XV–XIII სს.)

ხურიტები ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან სახლობდნენ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ზაგროსის მთიანეთში უკვე არსებობდა ხურიტული სახელმწიფოები (კარახარი, მოგვიანებით შუშარა, არაპხა და ა.შ.). ძვ.წ. XV-XIII სს. სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის არსებობა ფიქსირდება. ძვ.წ. XV საუკუნისათვის ხურიტულ სამეფოებს შორის მითანის სამეფო გამოირჩევა, მისი სამფლობელოები ძვ.წ. XIV საუკუნისათვის გაშლილი იყო ზაგროსის მთიანეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე, მოიცავდა რა მთელ ხურიტულენოვან კულტურულ არეალს [Вильхельм 1992:31]. წერილობით წყაროებში ამ ეპოქის სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რუკის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ძვ.წ. XII საუკუნის ასურულ წყაროებში უკვე მოიხსენიება დიდი პოლიტიკური გაერთიანებები - "სამეფოები" (მაგ. დიაუხი).

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება არტეფაქტების მთელი წყება, რომლებიც ეგვიპტიდან და ლევანტიდან არის იმპორტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ამ ეპოქის ხეთური არტეფაქტები დადასტურებული არ არის. მაშინ, როდესაც, სამხრეთ კავკასიაში ნაპოვნია ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული სხვადასხვა საგნები, რომლებიც იმპორტირებულია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან და ლევანტიდან, ე.ი. იმ ტერიტორიებიდან, სადაც მითანის ძლიერი გავლენა იგრძნობა. გვიანი ბრინჯაოს ხანა ეგვიპტეს, ლევანტს, მესოპოტამიას, ანატოლიას, კვიპროსსა და ეგეოსის აუზს შორის ინტენსიური საერთაშორისო ინტერაქტივობით ხასიათდება, რაც სხვადასხვა ფორმით (ვაჭრობა, დიპლომატია, სამეფო ქორწინება, საომარი კონფლიქტები) გამოიხატა [Feldman 2002: 6-10]. კულტურის ახალი ელემენტების სამხრეთ კავკასიაში გაჩენა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული იყო მითანის სახელმწიფოს გაძლიერებასთან, რომელიც ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სამეფოს წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიას და ახლო აღმოსავლეთს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე კარგი დამადასტურებელია კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მითანიური ცილინდრული საბეჭდავები. დღესდღეობით ამ სტილის ოცზე მეტი ცილინდრული საბეჭდავია ცნობილი [Уварова 1900: 324, ტაბ. 127, 47; Хачатрян 1975: სურ. 77-1,2; Деведжян 1981: 37, ტაბ. IX-3; Гуммель 1993: ტაბ.3; Пилипосян 1998: ტაბ 41-3; Арешян и др. 1990: 60, ტაბ. II; ნარიმანიშვილი 2006: 95, ტაბ. XVIII; ნარიმანიშვილი 2010: 286-287, ტაბ. XX, XXII, XXIV; Shanshashvili, Narimanishvili 2015: ტაბ. I- III; Карахмедова 1990: სურ. 40, 41; Бадалян, Смит 2008: 56-57].

მითანიური ტიპის საბეჭდავების გავრცელების არეალი მითანის სამეფოს საზღვრებს სცილდება და დასავლეთით ხმელთაშუაზღვისპირეთს (ეგეოსის კუნძულები, ეგვიპტე), აღმოსავლეთით კასპიის ზღვის სანაპიროს და ირანს, სამხრეთით - ქუვეითს [Potts 2010: 22] აღწევს, ჩრდილოეთით კი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებამდე ვრცელდება.

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი საბეჭდავების ნაწილი მსგავსია ნუზიში, თეჰიპ-ტილას

არქივში აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე მოცემული ანაბეჭდებისა. ნუზის გათხრებისას, ერთ-ერთ შენობაში 1100 თიხის ფირფიტა აღმოჩნდა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1450 წ. თარიღდება. არქივი მოიცავს ერთი ოჯახის ხუთი თაობის იურიდიულ საბუთებს [Кьера 1984: 93-94]. ტექსტების მიხედვით ირკვევა, რომ ოჯახის დამაარსებელი იყო თურ-შენი. მის ვაჟს პუხიშენს ორი ვაჟი ჰყავდა: ჰაიშ-თეშუბი და თეჰიპ-ტილა [Maidman 1976: 134]. თეჰიპ-ტილა, სავარაუდოდ, ნუზის მეფის ქვისლი იყო და მეფის კარზე დიდი თანამდებობა ეკავა [Вильхельм 1992: 84]. თეჰიპ-ტილას დროინდელი საბუთები დამოწმებულია სხვადასხვა პირების საბეჭდავების ანაბეჭდებით, რომელთა ერთი ნაწილი [Porada 1947: ტაბ. III, 35-42; V, 81-84] დიდ მსგავსებას იჩენს სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილ საბეჭდავებთან.

სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში, საფარ-ხარაბას სამაროვანზე, პირველად იყო გამოვლენილი სიუჟეტური იკონოგრაფიის მქონე ცილინდრული საბეჭდავები [ნარიმანიშვილი 2006: 95, ტაბ. XVIII; ნარიმანიშვილი 2010: 286-287, ტაბ. XX, XXII, XXIV; Shanshashvili, Narimanishvili 2015: ტაბ. I- III]. საბეჭდავზე #27 სამარხიდან გამოსახულია ორ რიგად განლაგებული თევზები. ამ ტიპის საბეჭდავები პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (უგარითი, ბეთ შანი, კამიდ ელ-ლოზი), ასევე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (ნუზი) და ძვ.წ. XVI-XIV სს. თარიღდებიან [Salje 1990: 66, ტაბ. VII, 136-138]. თევზების გამოსახულებები ფართოდაა გავრცელებული Common Style-ს გლიპტიკაში. Salje-ს თევზების მოტივით ორნამენტირებული საბეჭდავები გაერთიანებული აქვს ზოომორ-ფულ ჯგუფში [Salje 1990: ტაბ. VII 136-138]. მითანიურ გლიპტიკაში თევზების გამოსახულე-ბები გვხვდება ორ ან სამ რიგად შესრულებული, აგრეთვე სხვადასხვა ორნამენტული მოტი-ვის თანხლებით. თრიალეთურ საბეჭდავთან ყველაზე ახლო მსგავსებას იჩენენ საბეჭდავები ჰამადან და რას-შამრადან, რომლებზეც თევზები ასევე ორ რიგად არის გამოსახული. მი-თანიურ გლიპტიკაში ამ ეგზემპლარების ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს ძვ.წ. XVI-XIII სს. [Salje 1990: 220]. საფარ-ხარაბას საბეჭდავი თევზების გამოსახულებიანი ანაბეჭდები თეჰიპ-ტილას შვილის ენამათის და შვილიშვილის თარმი-ტილას ცხოვრების წლებს ემთხვევა [Porada 1947: ტაბ. V, 81-84], ე.ი. დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნის პირველ ნახევარს და შუა ხანებს მიეკუთვნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს # 5 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავი, რომელზეც გამოსახულია მუხლმოდრეკილი კაცის ფიგურა პროფილში. მას ხელში ექვსქიმიანი ვარსკვლავით დაბოლოვებული შტანდარტი უჭირავს. მამაკაცის ფიგურის წინ კვარცხლბეკზე, რქოსანი (ანტილოპასნაირი) ცხოველი დგას. ამ ტიპის საბეჭდავები ძირითადად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში: რას-შამრაში, ბიბლოსში, ბეთ-შანში, ჰაზორსა და გეზერში. ქრონოლოგიურად მოიცავს ძვ.წ. XVI-XIII სს. ყველაზე ახლო პარალელები მოეძებნება ბეთ-შანსა და რას-შამრაში, ფენებში, რომლებიც ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [Salje 1990: 211]. თუმცა, ლევანტიურ ეგზემპლარებზე მამაკაცის ფიგურას ხელში ე.წ. bouquet-tree უჭირავს [Salje 1990: ტაბ. V-95], განსხვავებით თრიალეთურისგან, რომელსაც ხელში ექვსქიმიანი ვარსკვლავით დაბოლოვებული შტანდარტი აქვს. ამ დეტალით ის უახლოვდება საბეჭდავებს ბეთ-შანიდან, მეგიდოდან და იერუსალიმიდან [Salje 1990: ტაბ. VI-101]. სავარაუდოდ, საბეჭდავებზე გამოსახული, მუხლმოდრეკილი, ან ფეხზე მდგარი მამაკაცი მლოცველი ქურუმია, რომელიც კვარცხლბეკზე შემდგარი ანტილოპასნაირი ცხოველის (ან ცხოველების) წინ დგას და ხელში ექვსქიმიანი შტანდარტი, ან მცენარე უკავია. ასეთი სიუჟეტით შემკული საბეჭდავების გავრცელების არეალი ძირითადად სირია-პალესტინაა. ანალოგიური საბეჭდავები (9 ცალი) და ანაბეჭდი კამიდ ელ-ლოზში (ლიბანი), ტაძრის ტერიტორიაზე არის დადასტურებული. მსგავსი იკონოგრაფიის უძველესი საბეჭდავი კი აღმოჩნდა ალალახში (ტელ-აჩანა), VI ფენაში და თარიღდება ძვ.წ. XVI ს. დანარჩენი ცალები აღმოჩენილია ძვ.წ. XIV-XIII სს. დათარიღებულ ძეგლებზე [Kühne, Salje 1996: 55-57]. საფარ-ხარაბაზე აღმოჩენილი საბეჭდავის თითქმის ანალოგიური

ცალი აღმოჩნდა კვიპროსზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ჰალა სულთან თექეზე [Fischer, Bürge 2014:76, fig. 21 a-c]. პ. ფიშერის და ტ. ბიურგეს მიხედვით, ეს საბეჭდავი მითანიურ რეპერტუარს მიეკუთვნება. მას პარალელები მოეძებნა სირიაში, ნამოსახლარ ტელ კაზელიდან (ძვ.წ. 1450-1350 წწ.) და ლიბანიდან, გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ კამიდ ელ-ლოზიდან [Fischer, Bürge 2014: 76; Kühne, Salje 1996: 56-59]. ამ ტიპის საბეჭდავები პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (უგარითი, ბეთ შანი, კამიდ ელ-ლოზი, ჰალა სულტან თექე), ასევე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (ნუზი). ნუზიში თეჰიპ-ტილას ოჯახის არქივში ოცამდე დოკუმენტია ნაპოვნი დაბეჭდილი მსგავსი საბეჭდავით [Porada 1947: ტაბ. III]. საფარ-ხარაბას # 5 სამარხის საბეჭდავსა და ნუზიში აღმოჩენილ ანაბეჭდებს შორის იკონოგრაფიული მსგავსება იმდენად დიდია, რომ სავარაუდოდ საფარ-ხარაბას საბეჭდავებიც შეიძლება ძვ.წ. XV საუკუნის მიწურულით დავათარიღოთ.

ნუზის ტექსტების მიხედვით, არსებობდა სავაჭრო კლანები, რომლებსაც თავიანთი ბიზნესინტერესი ჰქონდათ ზოგს ლევანტში (კედარი, მეწამული ფერის ქსოვილი, მირტი), ზოგს კი ჩრდილოეთით მდებარე მაღალმთიან ქვეყნებთან (ცხენები, ლითონი). მითანიური საბეჭდავების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიაში შესაძლოა მიუთითებდეს, რომ არსებობდა ვაჭრების ჯგუფი, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ლითონის და ცხენების მიმწოდებელ რეგიონებთან. საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი საბეჭდავები შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ თეჰიპ-ტილას ოჯახის ინტერესების სფეროში თრიალეთიც შედიოდა.

მითანიური სტილის საბეჭდავების დამამზადებელი სახელოსნო დღესდღეობით მხოლოდ რას-შამრა/უგარითშია აღმოჩენილი [Salje 1990: 101]. იდენტიფიცირებული იყო ზოგიერთი ლოკალური სტილი [Collon 1988: 59]. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ თრიალეთის საბეჭდავები უგარითის სახელოსნოშია დამზადებული. გეღაროტში აღმოჩენილი საბეჭდავები შეისწავლა დ. კოლონმა და ივარაუდა, რომ ისინი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ პროდუქციას წარმოადგენენ და დამზადებულია რას-შამრას ერთ-ერთ სახელოსნოში [Бадалян, Смит 2008: 57]. გეღაროტის საბეჭდავზე, ნუზიში აღმოჩენილი საბეჭდავისაგან განსხვავებით, იშთარის ფიგურაა გამოსახული. იშთარის გამოსახულება მოცემულია სამ საბეჭდავზე კავკასიიდან: გეღაროტიდან, ქუმულთადან და ლჭაშენიდან. იშთარ-შავუშქა აღმოსავლეთ ხურიტული და საკუთრივ, ქალაქ ნუზის უმთავრესი ქალღმერთი იყო. ნუზის გლიპტიკაში ქალღმერთის ფიგურასთან ერთად ხშირია ფრთოსანი მზის დისკოს, ანტილოპების, მორიელების, გრიფონების და ვარსკვლავების, ან ვარდულების გამოსახულებები. ნუზიში, როგორც წესი, ვარსკვლავი და ვარდულა ექვს, ან შვიდქიმიანი იყო [Stein 1988: 180-182].

2014 წელს, შიდა ქართლში, არადეთის ორგორაზე აღმოჩნდა მცირე ზომის ქვის ფირფიტის ფრაგმენტი, რომელიც ევსქიმიან ასტრალურ სიმბოლოს გამოსახავს. ფირფიტა თარიღდება ძვ.წ. XIV-XIII სს. ე. როვას აზრით, ის უცხოური წარმავლობისაა და მისი დეკორი დიდ მსგავსებას იჩენს კარგად ცნობილ მესოპოტამიური ინანა-იშთარის ასტრალურ სიმბოლოსთან. [Rova 2016: 511-515]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე ექვსქიმიანი ვარსკვლავით შემკული შტანდარტი ხელში უჭირავს მუხლმოდრეკილ ფიგურას საფარ-ხარაბას საბეჭდავიდან. ე. როვა არ გამორიცხავს, რომ გვიანბრინჯოს ხანის შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობის რწმენით, არსებობდა ერთი, ან მეტი ქალღმერთი, რომლებიც მსგავსებას იჩენდნენ მესოპოტამიურ იშთართან. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ მსგავსება შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანის არა მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონში, არამედ შესაძლოა მთელ ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში, სირია-მესოპოტამიურ და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში პოპულარულ ნაყოფიერებისა და ნადირთ პატრონის ქალღმერთთან. სავარუდოდ, იშთარის სიმბოლური გამოსახულება ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი ქალღმერთის გამოსახატავად გამოიყენა [Rova 2016: 524]. მესოპოტამიისა და ლევანტის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნაყოფიერების ქალღმერთებთან საოცარ მსგავსებას იჩენს ქალის ორი ჰორელიეფი, რომელიც საქართველოში, მელი-ღელეს

სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა [Shanshashvili, Narimanishvili 2014: 135-142]. მელი-ღელეს სამლოცველოში, რომელიც ძვ.წ. XIV-XIII სს. თარიღდება, აღმოჩენილია აგრეთვე ქალის ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც მსგავსებას იჩენს ბიბლოსში ნაპოვნ ქალღმერთის ქანდაკებასთან [შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ., ნარიმანიშვილი გ.გ. 2016: 60, ტაბ.LXVI-2]. ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით ე. როვას, რომ სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობას რწმენა-წარმოდგენების საერთო პლასტი ჰქონდათ [Rova 2016: 524], თუმცა ძვ.წ. II ათასწლეულში, მითანის სამეფოს გავლენით, სამხრეთ კავკასიის ნაყოფიერების ქალღმერთმა, თუ ქალღმერთებმა უკვე სირია-მესოპოტამიური გარეგნული იერი მიიღეს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ძვ.წ. II ათასწლეულში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სამეფოებთან (უგარითი) ურთიერთობის შედეგად სვანურ ეპოსში ბეთქილის შესახებ ჩნდება აშკარად სემიტური ბაალის სადიდებელი ფორმულა: ბაილ ილ ბა, ილ ბა ბაილ.

აღსანიშნავია, ართიკში აღმოჩენილი საბეჭდავი 8 ადამიანის ფიგურის გამოსახულებით [Хачатрян 1979: 27,133]. დ. კოლონის მიხედვით, ასეთი გამოსახულება მთელ მითანიურ სამყაროშია გავრცელებული, ნუზის არქივის არსებობის მთელ პერიოდში მოქმედებდა და სავარაუდოა, რომ ისინი ჩრდილოეთ მესოპოტამიის (შესაძლოა ნუზის) სახელოსნოში მზადდებოდა [Collon 1988: 68]. ასევე, სავარაუდოა, რომ სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი საბეჭდავების მეორე ნაწილი, უგარითის სახელოსნოშია დამზადებული (გეღაროტი, საფარ-ხარაბა).

მითანიური გლიპტიკის ცნობილი მკვლევარი დ. სტეინი მიიჩნევს, რომ ნუზის გლიპტიკაში გამოიყენებოდა ძველი მესოპოტამიური საბეჭდავების არქაული (აქადური, ძველბაბილონური, კაპადოკიური და ძველი ელამური) ფორმები [Stein 1988: 175]. როგორც ჩანს, ასეთ არქაულ გამოსახულებებად შეიძლება ჩაითვალოს მითანიურ გლიპტიკაში დამკვიდრებული გეომეტრიული გამოსახულებები. გეომეტრიული (წიწვოვანი) ორნამენტით შემკული მითანიური ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიაშიც: ლორი-ბერდის #7 სამარხში, პარნი-გეხის სამარხში [Хачатрян 1975: 15, სურ.1], საფარ-ხარაბას, იმერას [ნარიმანიშვილი 2006: 95, ტაბ. XVIII; ნარიმანიშვილი 2010: 286-287, ტაბ. XX, XXII, XXIV; Shanshashvili, Narimanishvili 2015: ტაბ. I- III] და ჩალიანხევის [ჯობაიძე 1984: 115, ტაბ. XLVI-8] სამარხებში. ზოგიერთი მეცნიერი მათ მძივებად მიიჩნევს, ზოგი - ადგილობრივ ნაწარმად და არა მითანიურ იმპორტად, თუმცა, მკვლევარების უდიდესი ნაწილი მათ მითანიურ-ირანული ჯგუფის საბეჭდავებად მიიჩნევს. წიწვოვანი მცენარის გამოსახულებიანი საბეჭდავები ხმარებაში იყო ძვ.წ. XV-XII საუკუნეებში. ჰ.კიუნე და ბ.სალიე მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის საბეჭდავები ძირითადად ირანში, სომხეთსა და თურქმენისტანშია გავრცელებული, თუმცა, გვხვდება მესოპოტამიაში, სირიასა და ანატოლიაშიც, რაც შესაძლოა იმის მაჩვენებელი იყოს, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ირანს შორის ხდებოდა საქონლის და იდეების გაცვლა [Kühne, Salje 1996: 83-84].

ნუზის ტექსტებში ხშირად მოიხსენიებიან ორი ტიპის ვაჭრები: tamkaru და mar sipri. ძვ.წ. II ათასწლეულში mar sipri, ანუ ელჩი, ძველი ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სამეფო სასახლეებს შორის გაცვლა წარმოებდა დიპლომატიური ურთიერთობების მეშვეობით. ნუზის ტექსტების მიხედვით mar sipri ხელმძღვანელობდა მიღებას, ხოლო სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებდნენ tamkaru [Zaccagnini 1977: 171-172]. კერძო პირებს შეეძლოთ დაეფინანსებინათ ვაჭრების მოგზაურობა [Zaccagnini 1977: 173-174]. რამდენიმე ტექსტში მოხსენიებულია, რომ უფლისწული Silwa-Tesup-ი ვაჭრებს უკვეთავდა ცხენების ჩამოყვანას. მოხსენიებულია აგრეთვე სავაჭრო ექსპედიციები სპილენძის ჩამოსატანად [Lion, Stein 2001: 253]. სხვადასხვა ტექსტში მოსხენიებული არის ვაჭარი Ili-ittiya, რომელსაც ხურიტი მმართველებისათვის ჩამოჰქონდა კედარი, კვიპაროსი, მეწამული ფერის ქსოვილი, კედარის და მირტის ექსტრაქტები [Zac-

cagnini 1977: 178-179]. როგორც ჩანს, არსებობდა სავაჭრო კლანები, რომლთა ნაწილს ბიზნესინტერესი ჰქონდა ლევანტში (კედარი, მეწამული ფერის ქსოვილი, მირტი), ნაწილს კი ჩრდილოეთით, მაღალმთიან რეგიონებში (ცხენები, ლითონი). მითანიური საბეჭდავების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიაში კი შესაძლოა მიუთითებდეს, რომ არსებობდა ვაჭრების ჯგუფი, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ლითონის და ცხენების მიმწოდებელ ჩრდილოეთის ქვეყნებთან [Lion, Stein 2001: 253]. აღსანიშნავია, რომ კვიპროსზე, ნამოსახლარ ჰალა სულტან თექეზე, სადაც აღმოჩნდა თრიალეთურის ანალოგიური მითანიური საბეჭდავი, შეინიშნება აქტიური მეტალურგიული წარმოება, სპილენძის დამუშავება, ვაჭრობა და გაცვლა თავად კვიპროსზე და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზრვისპირეთში [Fischer, Bürge 2014: 75]. არ გამოვრიცხავთ, რომ სამხრეთ კავკასია აგრეთვე ჩართული იყო მითანიელი ვაჭრების ხმელთაშუაზღვისპირულ ქსელში.

მითანიური საბეჭდავების კავკასიელ მფლობელების მიმართ გარკვეული კითხვები ჩნდება: რა აქვთ მათ საერთო ან რით განსხვავდენიან ისინი მეზობლად დაკრძალული თანამედროვეებისაგან, რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან და რა როლს ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორია მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგმარეობა. მით უმეტეს, რომ საბეჭდავების მფლობელთა შორის ზოგი ქალია და ზოგი მამაკაცი. სამარხეული მასალები მიუთითებენ, რომ ზოგი ელიტის წარმომადგენელია, ზოგი კულტმსახური და ზოგიც, თითქოს, არაფრით გამორჩეული მეთემე. გარკვეულ პასუხს იძლევა ლორი-ბერდის #7 სამარხი, რომელშიც სავარაუდოდ დაკრძალულია სამხედრო ელიტის წარმომადგენელი ეტლით და ორი ცხენით. აღსანიშნავია ამ სამარხში აღმოჩენილი მითანიური ცილინდრული საბეჭდავი და ბრინჯაოს შტანდარტები ფრინველის და ცხენებით შებმული ეტლის გამოსახულებით. ლჭაშენის #97 ეტლიან ყორღანში კი დადასტურდა ცილინდრული საბეჭდავი იშთარის გამოსახულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამაროვნებზე, თანადროულ ელიტურ სამარხებში ნაპოვნია ძველ ეგვიპტეში გავრცელებული საკიდების მსგავსი ბუზის ფორმის ოქროს საკიდები [Pertosyan 2007: ტაბ. XXXVII-1; Devejyan 2007: ტაბ. XLIX]. ძველ ეგვიპტეში ფარაონები, რომლებიც ამავე დროს ეგვიპტის ჯარის მთავარსარდლები იყვნენ, ბრძოლის ველზე განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეულ სამხედრო პირებს ბუზის ფორმის ოქროს საკიდებით აჯილდოვებდნენ [Бонджоанни, Соле Кроче: 2001: 367]. ჩვენი აზრით, ლჭაშენის და სხვა ეტლიანი სამარხები ეკუთვნის სამხედრო ელიტას, რომელთა ინსიგნიებსაც წარმოადგენდა სკულპტურული გამოსახულებით შემკული ბრინჯაოს შტანდარტები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის საზოგადოებაში არსებობდა მეომრების ფენა, მითანიელების “marijanni-na” მსგავსი, რომლებსაც ჰქონდათ საბრძოლო ეტლები და მითანიელების სამხედრო ოპერაციებიშიც მონაწილეობდნენ. მითანიური ცილინდრული საბეჭდავებიც მათი პირადი ნივთი იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ლჭაშენის გვიანი ბრინჯაოს ხანის მდიდრულ სამარხებში დაკრძალული იყვნენ სამხრეთ კავკასიის სამხედრო ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ მითანის სამეფო კართან და სავარაუდოდ მონაწილეობას იღებდნენ ხურიტული სამეფოს მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში. არ გამოვრიცხავთ, რომ მითანისა და ეგვიპტის სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც ხეთების წინააღმდეგ სირიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სამხრეთ კავკასიელებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას ბუზის ფორმის ოქროს საკიდების აღმოჩენა ლჭაშენის, ლორი ბერდის და ტაგავორანისტის მდიდრულ სამარხეში. შესაძლოა, ლჭაშენის #97 ყორღანში დაკრძალულ ადამიანს გარკვეული დამსახურებისთვის მიღებული ჰქონდა იშთარ-შავუშქას გამოსახულებიანი საბეჭდავი, არ არის გამორიცხული, რომ ის მითანის სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო. გეღაროტის და შამირამის საბეჭდავები დიდ მსგავსებას იჩენენ ნუზის “მეეტლეთა სიის” ფირფიტებზე მოცემული საბეჭდავების ანაბეჭდებთან. “მეეტლეთა” სია ეს არის ხუთი თაობის (ძვ.წ. 1425-1325 წწ.) ელიტური ჯგუფის სამხედრო პირების სია. საბეჭდავები ამ ფირფიტებზე

საშუალებას იძლევიან ზოგიერთი მაღალი რანგის ადმინისტრატორის იდენტიფიცირებას და მათ კავშირს არაპჰას მმართველთა ოჯახებთან. "მეეტლეთა" სიაში მოხსენიებულია მაღალი რანგის ადამიანები, რომლებსაც ევალებათ საზღვრების, ქალაქის კარიბჭეების, საწყობების და გზების დაცვა. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ ეტლებით და ცხენებით, რაც ასახულია ფირფიტებზე. ფირფიტებში მოხსენიებული არიან "მეეტლეები", ვინც იხდის გადასახადს და ვინც საწყობებიდან ვალად იღებს აგურს, მარცვლეულს და იარაღს [Stein 2009: 545]. საბეჭდავი გეღაროტიდან თითქმის ანალოგიურია საბეჭდავის, რომელიც ეკუთვნოდა Šekaja s. Šukria, საბეჭდავი შამირამიდან კი თითქმის ანალოგიურია "მეეტლეთა სიის" საბეჭდავის, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე Hutia-ს. ეს უკანასკნელი კი სავარაუდოდ სასახლის ადმინისტრატორი იყო.

ჩვენი აზრით, მითანის სახელმწიფოს აყვავების ეპოქაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი, ხურიტული სამეფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას განიცდიდა.

ლიტერატურა:

კობაიძე, ლამარა: ჩალიანხევის სამაროვანი "A". - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI (1984) 108-132.

ნარიმანიშვილი, გოდერძი: საფარ-ხარაბას სამაროვანი. - ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 17-18 (2006) 92-126.

ნარიმანიშვილი, გოდერძი: თრიალეთი ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში/Trialeti in the 15th-16th centuries-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში/Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceihan and South Caucasian pipelines. (მთავარი რედ. გ. გამყრელიძე) (2010) 275-369.

შანშაშვილი, ნინო, ნარიმანიშვილი, გოდერძი, ნარიმანიშვილი, გიორგი: ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის ძვ.წ. III-II ათასწ). თბილისი 2016.

Collon, Dominique: Some Cylinder Seals from Tell Mohammed Arab, in:Iraq, 50 (1988) 59-77.

Devejyan, Seda: Tagavoranist, in: The Gold of Ancient Armenia (2007) 99-102. Yerevan.

Feldman, Marion: Luxorious forms: Redifining a Mediterranean "International Style", 1400-1200 B.C.E, in: The Art Bulletin, Vol. 84, No. 1(2002) 6-29.

Fischer, Peter M. and Bürge, Teresa: The New Swedish Cyprus expedition 2013. Excavations at Hala Sultan Tekke. – Opuscula. Annual of the Swedish Insttitutes at Athens and Rome, 7 (2014) Stockholm, 61-106.

Kühne, Hartmut and Salje Beate: Kamid el-Loz. 15. Die Gliptik. Saarbrucker Beiträge zur Altertumskunde. Band 56. Dr. Rudolf Habett GMBH. Bonn. 1996.

Lion, Brigitte and Stein, Diana: The Pula-hali family Archive, in:Studies on theand Culture of Nuzi and the Hurrians: vol. 11 (2001). – CDL Press.

Maidman, Maynard: The Tehip-Tilla family of Nuzi: A Genealogical Reconstruction. – Journal of Cuneiform studies, 28-3 (1976) 127-157.

Pertosyan, Levon: Lchashen, in:The gold of ancient Armenia (2007), 102-108.Yerevan.

Porada, Edith: Seal Impressions of Nuzi. – The Annual of the American Schools of Oriental Research, XXIV(1947) 1-138.

Potts, Daniel, T.: Cylinder seals and their use in the Arabian Peninsula. – Arabian Ar-

chaeology and Epigraphy, 21 (2010) 20-40.

Rova, Elena: Ishtar in Shida Kartli? About a Recently Discovered Fragment of Stone Plaque. – Alter Orient und Altes Testament, Band 436 (Hsg. M. Dietrich, I. Kottsieper, H. Neumann) Ugarit-Verlag. Münster (2016) 511-532.

Salje, Beate: Der `Common Style~ der Mitanni-Gliptik und die Gliptik der Levante und Zyperns in der späten Bronzezeit. Mainz am Rein 1990.

Shanshashvili, Nino and Narimanishvili, Goderdzi: Iconography of Syria-Mesopotamian Goddess from Kakheti (Meli-Ghele shrine). – Aramazd. Armenian Journal of Near-eastern Studies, vol. VIII, Issues 1-2, 2013-2014,Yerevan (2014) 135-142.

Shanshashvili, Nino and Narimanishvili, Goderdzi: Mitannian Seals from South Caucasus in the Context of Caucasian Near Eastern Contacts in the 15th-14th cc. B.C. – Metsamor. The Chronicle of Fifty Years of Excavations. Dedicated to the 50th Anniversary of the Excavations of Metsamor Archaeological Site and the 45th Anniversary of the Foundation of the Museum-Reservation. Yerevan (2015) 72-89.

Stein, Diana: Mythologische Inhalte der Nuzi-Gliptik, in: Hurriter und Hurritisch (Hrsg. Volkert Haas). Universitatsverlag Konstanz (Xenia 21) (1988) 173-210.

Stein, Diana: The Charioteer Lists: seals and Sealing Practice, in: SCCNH (Studies on the Civilization and Culture of Nuzi and the Hurrians),18 (2009) 545-571.

Zaccagnini, Carlo : The Merchant at Nuzi, in: Iraq, vol. 39, #2 (Autumn, 1977), 171-189.

Арешян, Григорий, Оганесян Вахан, Мурадян Феликс, Аветисян Павел, Петросян Левон: Конец среднего бронзового века в междуречье Аракса и Куры, in: Историко-филологический журнал, 1(1990), Ереван, 53-74.

Бадалян, Рубен и Смит, Адам: Поселение Гехарот: Основные результаты раскопок 2005-2006 гг., in: Культура древней Армении XIV (2008). Ереван: Издательство «Гитутюн» НАН РА. 45-68.

Бонджоанни, Алессандро и Мария Соле Кроче: Сокровища Египта. Иллюстрированный путеводитель по Египетскому Музею в Каире. White Star Publisher. 2001

Вильхельм, Гернот: Древний народ хурриты. Москва 1992.

Гуммель, Яков : Раскопки к юго-западу от Ханлара в 1941 году. – ВДИ, 4, (1992) 5-12.

Деведжян, Седа: Лори-Берд I. Результаты раскопок 1969-1973 гг. Ереван 1981

Карахмедова, Алия: Хурритские печати из Мингечаура, in: Культурные связи народов Средней Азии и Кавказа. Древность и средневековье (1990), 139-142. Москва.

Кьера, Эдвард: Они писали на глине. Москва. 1984.

Нариманишвили, Годердзи: Цилиндрические печати из Триалети, in: Археология, этнография, фольклористика Кавказа, Тбилиси (2004) 105-106.

Нариманишвили, Дмитрий: Египетские амулеты III-II тысячелетия до н.э. на Южном Кавказе, in: Археология, этнография, фольклористика Кавказа, Тбилиси (2010) 221-224.

Пилипосян, Ашот: Печати армянского нагорья в системе древневосточной глиптике (на арм. языке). Ереван 1998

Уварова, Прасковья: Могильники Северного Кавказа, in: МАК, вып. VIII (1900). Москва.

Хачатрян, Телемак : Древняя культура Ширака. Ереван 1975.

Хачатрян, Телемак : Артикский некрополь. Каталог. Ереван 1979.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. ცილინდრული საბეჭდავი ჰალა სულტან თექედან [Fischer, Bürge 2014: 77,სურ. 21 მიხედვით]; 2. ცილინრული საბეჭდავი საფარ-ხარაბადან [ნარიმანიშვილი 2010: ტაბ. XXII-2,3,4 მიხედვით].

ტაბ. II. 1-8. საბეჭდავები და ოქროს გარსაკრავები საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვნებიდან; 9. ქუმულთა [Уварова 1900: 324, ტაბ. 127, 47 მიხედვით]; 10-12. ართიკი [Хачатрян 1975: სურ. 77-1, 2 მიხედვით]; 13,14. გეღაროტი [Бадалян, Смит 2008: 56-57 მიხედვით]; 15. შამირამი [Арешян и др. 1990: 60, ტაბ. II მიხედვით]; 16. მეწამორი [Пилипосян 1998: ტაბ 41-4 მიხედვით]; 17. რაზდანი [Пилипосян 1998: ტაბ 41-3 მიხედვით]; 18. შახტახტი [Пилипосян 1998: ტაბ 41-1 მიხედვით]; 19, 21. მინგეჩაური [Карахмедова 1990: სურ. 40, 41 მიხედვით]; 20. ხანლარი [Гуммель 1992: სურ. 3 მიხედვით].

I

Hala Sultan Tekke. Cyprus

Saphar Kharaba



II



1 2 3 4 5 6 7 8

9

10

11

12

13



14

15

16



17

18



19



20

21

GODERDZI NARIMANISHVILI
NINO SHANSHASHVILI
Georgian National Museum

THE SOUTH CAUCASUS AND HURRIAN KINGDOMS (SOME ASPECTS OF THE RELATIONS, 15TH-13TH CENTURIES BC)

A significant number of artefacts imported from Egypt and Levant, dated to the mid-2nd millennium BC, were discovered at archaeological sites in the South Caucasus. The appearance of new cultural elements in the South Caucasus must be related to the Kingdom of Mitanni, a powerful state in the 15th-14th centuries BC.

Mitannian cylinder seals found in the Caucasus are the best evidence of cultural and economic relations between the South Caucasus and the Near East. Over twenty such specimens are so far known. Cylinder seals found in the Caucasus represent both elaborate and common styles of Mitannian glyptic.

Part of the seals are similar to impressions on clay tablets from the Tehip-tilla family archive, Nuzi. They show close parallels with Mitannian cylinder seals with narrative images recovered for the first time from Sapar-Kharaba burial ground, Georgia. Seals of this type were popular in the eastern Mediterranean (Ugarit, Bet Shean?, Kamid el-Loz, Hala Sultan Tekke) as well as in northern Mesopotamia (Nuzi), where up to 20 tablets from the Tehip-tilla family archive bear similar impressions. Sapar-Kharaba seals and the impressions from the Tehip-tilla archives are so similar in terms of iconography that the Sapar-Kharaba seals too can be dated to the late 15th century BC. According to the Nuzi records, clans of merchants had business interests either in Levant (cedar, purple cloths, myrtle) or in the highlands to the north (horses, metal). The discovery of Mitannian seals in the South Caucasus may indicate that a certain group of merchants could have direct contacts with regions that provided metal and horses. Seals from the Sapar-Kharaba burial ground may suggest that Trialeti also fell within the scope of the Tehip-tilla family's interests.

Several questions may arise in connection with the Caucasian owners of Mitannian seals: what did they have in common or how did they differ from other individuals buried next to them? What was their social, political and economic status?

Especially so that among the seal owners were both women and men. The burial goods indicate that some of them represent the elite, some are priests and others seem to be commoners.

Barrow #7 near Lori Berd provides some answers to these questions. It is an elite warrior's grave that also contained a chariot and two horses. The burial goods include Mitannian cylinder seals and bronze standards depicting birds and a harnessed chariot. A cylinder seal bearing an image of Ishtar was recovered from another chariot burial, barrow #97 near Lchashen. Graves from the same burial grounds, contemporary with the mentioned barrows, yield fly-shaped gold pendants widespread in Egypt. In Ancient Egypt, pharaohs, who also were the commanders of the Egyptian army, used to present such pendants to warriors who distinguished themselves in battles.

In our opinion, chariot burials from Lchashen and other sites belonged to the military elite, while carved bronze standards were their insignia. These finds may suggest the presence of a warrior stratum in the South Caucasus, similar to "marijanni-na" of Mitanni, who owned chariots and took part in the military operations of Mitanni. Mitannian cylinder seals were their personal property. It can be assumed that the lavishly furnished graves of the Late Bronze Age found near Lchashen belonged to the warrior elite of the South Caucasus

who must have had close relations with the Mitannian court and evidently, took part in military campaigns waged by the Hurrian kingdom. It should not be ruled out that South Caucasians also participated in the battles against the Hittites on the territory of Syria. We believe this is the only valid explanation for the presence of fly-shaped gold pendants in the rich barrows of Lchashen, Lori Berd and Tagavoranist. The person buried in Barrow 97 may have been presented with the seal depicting Ishtar-Shavushka in recognition of his merits, and could have been close to the Mitannian court.

Seals from Geghrot and Samiram have close parallels with impressions on chariot tablets from Nuzi. The chariot tablets mention high ranking individuals entrusted with protecting borders, city gates, warehouses and roads. They were provided with chariots and horses.

We believe that during the prosperity of Mitanni, the central part of the South Caucasus was subject to the political, economic and cultural influence of Hurrian kingdoms.